

ტურიზმის განათლება და დასაქმების მაჩვენებელი საქართველოში

ჯგუფი #2

სოფიო მელიქიშვილი

თამარი კობახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება: ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერი ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

დღესდღეობით ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობაში ღირებული წვლილი შეაქვს. ტურიზმის შრომითი ბაზრის ზრდასთან ერთად, ყურადსაღები ხდება ტურიზმის განათლების მდგომარეობა საქართველოში. ნაშრომის მიზანია ტურიზმის განათლების შესაბამისობის დადგენა დასაქმებასთან. პირველადი და მეორეული მონაცემების დამუშავების საფუძველზე ნათელია, რომ ტურიზმის განათლება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს. ტურიზმის უმაღლესი განათლება სფეროში არსებულ პოზიციებზე დასაქმებისთვის არ ქმნის ისეთივე გამოსადეგ ცოდნას, როგორც პროფესიული. შესაბამისად ქვეყანას ჰყავს დარგში კვალიფიციური კადრები, რომლებიც ვერ ახდენენ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას: ვერ საქმდებიან, ან საქმდებიან სხვა სექტორში, ძირითად შემთხვევებში კი ვხვდებით ისეთ მოცემულობას, რომელშიც პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები ერთსა და იმავე პოზიციებზე გვხვდებიან. მიღებული შედეგებიდან გამოდინარე ნაშრომი მნიშვნელოვანია ტურიზმის ინდუსტრიისთვის, სფეროში ახალი და ღირებული ცოდნის შესაქმნელად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტურიზმის განათლება, შრომითი ბაზარი, უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლება.

Abstract

Today tourism is one of the most important sectors in Georgian economy, which contributes to the well-being of the country. Together with the growth of tourism labor market in Georgia, the tourism education should be taken into consideration. The goal of the thesis is to identify the conformity of tourism education with employment. Based on primary and secondary datas, it is clear that tourism education in Georgia does not meet the labor market needs. Higher education institutions in tourism does not design and implement as important knowledge as vocational education institutions for employing positions in the field. Accordingly, the country has thousands of qualified university graduates, who fail to realize their capabilities: they are unable to be employed on appropriate positions, or forced to work in other sectors and in most cases both of higher and vocational education programs' graduates work on the same positions. From the results obtained, the thesis is important for the Georgian tourism industry, creating new and valuable knowledge in the field.

Key words: Tourism education, Labour market, Higher education, Vocational education.